საქართველოს ფინანსთა მინისტრისა

და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ერთობლივი ბრძანება №222-№38

2023 წლის 22 ივნისი

ქ. თბილისი

„საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №258/№73 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებთ:**

მუხლი 1

„საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №258/№73 ერთობლივი ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 30/08/2019, 010040000.22.033.017231) დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ფოტოსურათის შემდგომი დამუშავება დასაშვებია სამართალდარღვევის პრევენციისა და მასზე რეაგირების, დანაშაულის პრევენციის, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, სასჯელის აღსრულების, ასევე სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი	**ლაშა ხუციშვილი**
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი	**ვახტანგ გომელაური**